ლადო პაპავა მთავრობას რკინიგზის აქციების გაყიდვისგან თავშეკავებას ურჩევს

InterPressNews

14:54 17-05-2012

ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა, ლონდონის საფონდო ბირჟაზე "საქართველოს რკინიგზის" აქციების განთავსებას საფრთხის შემცველად მიიჩნევს და მთავრობას , რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, აქციების გაყიდვისგან თავშეკავებას ურჩევს.

როგორც პაპავამ "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, "საქართველოს რკინიგზას" სატრანსპორტო დერეფნის უზრუნველყოფის ინსტრუმენტის ფუნქცია რომ არ ჰქონდეს და არ არსებობდეს რუსეთის საფრთხე, რომელიც აქტივების დასაკუთრებას ცდილობს, მაშინ ლონდონის ბირჟაზე რკინიგზის აქციების განთავსებას დადებითად შეხედავდა.

"დღეს კი ეს საერთოდ საფრთხის შემცვლელია; უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის რკინიგზამ, ორი წლის წინ შეიძინა სომხეთის რკინიგზის პაკეტი, რომელსაც სახელი შეუცვალა და "სამხრეთ კავკასიის რკინიგზა დაარქვა", ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს აქვს ამბიცია, აკონტროლოს არა მარტო სომხეთის რკინიგზის მონაკვეთი, არამედ სრულიად კავკასიის, რაც, პირველ რიგში, საქართველოზე გადის", - განმარტა ექსპერტმა.

მისივე თქმით, როცა ასეთი საფრთხე არსებობს, თავშეკავება ჯობია. პაპავას პროგნოზით, პირველადი განთავსების შემთხვევაში, შეიძლება, რუსეთის რკინიგზამ აქციების რაღაც ნაწილი შეისყიდოს, რადგან ის ყველაზე მეტადაა დაინტერესებული ამ პროცესით, მაგრამ შემდეგ გაიმართება აქციებით ვაჭრობა და რუსეთს შეუძლია თავისი ბროკერებისა და დილერების მეშვეობით დამატებით კიდევ შეისყიდოს აქციები.

"ასე რომ, როცა გყავს აშკარად გამოკვეთილი მტერი, რომელიც არ მალავს თავის მიზნებს და მეორეს მხრივ, ეს ობიექტი ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, მისი პრივატიზაცია გამართლებული არ არის", - განაცხადა ექსპერტმა.

სააგენტო "როიტერი" რკინიგზის აქციების ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსების შესახებ წერს. "როიტერი" ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ კომპანია 800 მილიონიდან მილიარდ დოლარამდეა შეფასებული. აქციების პირველადი განთავსების შედეგად მთავრობამ, შესაძლოა, 250 მილიონი დოლარი გამოიმუშაოს. სააგენტოს ცნობით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე "საქართველოს რკინიგზის" აქციების პირველადი განთავსებისას, აქციების 25% გაიყიდება. განცხადება აქციების პირველად განთავსებაში მონაწილეობაზე 23 მაისამდე მიიღება, ხოლო განთავსება 24 მაისს მოხდება.